ოქმი №1

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა ცაგერის ,,აეროპორტის დასახლების'' მოსახლეობის კრების ოქმი.

11.02.2022წ

კრებას ესწრებოდნენ: სოფ. ქვედა ცაგერის თემის აეროპორტის დასახლების მოსახლეობა, კრებას ასევე ესწრებოდნენ: ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ტარიელ ნემსაძე, ამავე სამსახურის სპეციალისტი -ბონდო კოპალიანი და გიორგი ხმელიძე, მერიის წამომადგენელი ქვედა ცაგერის თემში -დავით ხეცურიანი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ქვედა ცაგერის რეგიონიდან -ნოდარ საღინაძე.

კრების თავმჯდომარე: დ. ხეცურიანი

მდივანი: ლ. ლეთოდიანი

კრების დღის წესრიგი

1. ქვედა ცაგერის თემში აეროპორტის მიმდებარე 12 610 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.02.23.154) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების თაობაზე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი:ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ტარიელ ნემსაძე.

მომხსენებელმა კრების მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე რომ ქვ.ცაგერის ტერიტორიის აეროპორტის მიმდებარედ, მდ. ცხენისწყლის სანაპიროზე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო გასაყიდად ამზადებს 12 610 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. ნაკვეთის გაყიდვა მოხდება ელექტრონული აუქციონის ფორმით და მასში მონაწილეობის საშუალება ექნება ნებისმიერ საქართველოს მოქალაქეს თუ ეს ტერიტორია არ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას სოფლისათვის, საჭირო არის კრების მონაწილეების თანხმობა ნაკვეთის გაყიდვაზე.

აზრი გამოთქვეს: ლ. ლეთოდიანმა, მ.თაგვაძემ, მ.ფორჩხიძემ, რ.ზურაბიანმა მათ აღნიშნეს რომ ეს ტერიტორია წარმოადგენს სოფლის საძოვარს, რომლითაც სარგებლოს ქვედა ცაგერის მოსახლეობა, მისი გასხვისება სოფელს დააზარალებს, ამიტომ სოფლის მოსახლეობა მიდი გაყიდვის წინააღმდეგი ვართ.

დაადგინეს: იმის გამო რომ ეს ტერიტორია წარმოადგენს მოსახლეობის საერთო სარგებლობის საძოვარს არ მოხდეს მისი გასხვისება რაიმე ფორმით და უარი ეთქვას სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მის პრივატიზებაზე. (კრების მონაწილეთა ხელმოწერა თან ერთვის კრების ოქმს)

კრების თავმჯდომარე: დ.ხეცურიანი

მდივანი: ლ.ლეთოდიანი